

## Caucasus Youth Leadership Program (CYLP) Youth Entrepreneurship Program 2017

კავკასიის ახალგაზრდობის ლიდერობის პროგრამა  
ახალგაზრდობის მეწარმეობის პროგრამა 2017

აშშ-ის საელჩო თბილისში მოხარულია გამოაცხადოს 2017წ. კავკასიის რეგიონისთვის მოთხოვნილი ახალგაზრდობის მეწარმეობის პროგრამა აზერბაიჯანისა და საქართველოსთვის. 10 საშუალო სკოლის მოსწავლე და ერთი მენტორი საქართველოდან მონაწილეობას მიიღებს 10 აზერბაიჯანელ სტუდენტთან ერთად აშშ-ში მეწარმეობის შესახებ გამართულ ტრენინგებსა და სემინარებში. პროგრამული სემინარები, საჯარო თუ სათემო ინიციატივები გაიმართება ინტერაქტიული მეთოდების ინტენსიური გამოყენებით. ამერიკულ სკოლებში, სათემო ორგანიზაციებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში და სათემო ლიდერებთან გამართული შეხვედრების მეშვეობით პროგრამის მონაწილენი შეისწავლიან და გაეცნობიან იმ გამოწვევებს, რასაც 21-ე საუკუნეში ამერიკის შეერთებული შტატები, აზერბაიჯანი და საქართველო აწყდება მოსაზღვრე რეგიონებში.

ახალგაზრდობის მეწარმეობის პროგრამა იქნება ინტენსიური, აკადემიური და ძალზე ინტერაქტიული. პროგრამის სპონსორები ეძიებენ ენერჯიულ და საკუთარი ხედვით გამორჩეულ კანდიდატებს, რომლებიც შესაძლოა ეკუთვნოდნენ სოციალურად მრავალფეროვან ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჯგუფს; აქვთ მზაობა განავითარონ საკუთარი უნარები, რათა გახდნენ ეფექტური ლიდერები საკუთარ სკოლებში და თემში.

სტუდენტები პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ნომინაციების საფუძველზე. სტუდენტებს დაანომინირებენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი განყოფილებები, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი და შერჩეული პარტნიორი ორგანიზაციები.

აშშ-ის საელჩო ეძიებს ერთ ზრდასრულ მენტორს საქართველოდან, რომელიც გაუწევს ახალგაზრდების ჯგუფს მეგზურობას აშშ-ში 28 აგვისტოდან - 23 სექტემბრის ჩათვლით. მენტორს უნდა შეეძლოს თბილისში გამგზავრების წინა საორიენტაციო შეხვედრაზე და მეწარმეობის სემინარზე დასწრება 21-23 აგვისტოს; ასევე 2017წ. გლობალური მეწარმეობის კვირეულის ფარგლებში დამატებით ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

**ზრდასრული მენტორის პოზიციას შეუძლიათ მიმართონ იმ პირებმა, რომლებიც:**

- პროფესიულ და მოხალისეობრივ ჭრილში მუშაობენ ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების საკითხებზე;
- აქვთ უფლება იმოგზაურონ აშშ-ში;
- აქვთ ინგლისური და ქართული ენების სრულყოფილი ცოდნა.

საანკეტო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა: **ოთხშაბათი, 12 ივლისი, 2017წ.**

ინსტრუქცია ანკეტის შესავსებად: თუ შეიძლება შეავსეთ საანკეტო ფორმა ინგლისურ ენაზე მაქსიმალურად სრულყოფილად. გამოიყენეთ თანდართული საანკეტო ფორმა.

შევსებული საანკეტო ფორმები და შეკითხვები შეგიძლიათ გადაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [Tbilisixchanges@state.gov](mailto:Tbilisixchanges@state.gov)